


# გეგმა



ლათ. დემურჯიას თხზილს

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა ღლს.

№ 25.


ივნისი 20, 1893 წ.

№ 25.

ინაარსი: — მოლქოტი გ.—ლისა.—მატიანე.—მომდის ბრახია, ლექსი ზეზასი,—თავიკამიები, ზღაპარი გორისელი—სა—\* ლექსი ცახელისა.—ვახუშტის და მეუღლე მისი დურანდუბტი XX-ლისა.—თამაზ-ბანა, ხალხური ლექსი, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ.—სამეურნეო საცდელი სადგურები გ. ვველესიანისა.—ერემ-სერემ-სურეშიანი ვაჟა-ფშაველასი.—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ბუნების მეტყველების მოყვარულისა.—მოდები.

## მთაწკოტო

**მ**ის მეცნიერია, რომლის წიგნებითაც აღიზარდა ახალ გამოღვიძებულ იგონება რუსეთის საზოგადოებისა და ჩვენი ახალთაობა მესამოცე და მესამოცე და ათე წლებისა. მას ევროპის განათლები-სათვის იგივე მნიშვნელობა აქვს ბუნების მეცნიერების წარმატებაში, როგორც ფიცი-ბახს, ბიუნერს და ფობტს ახალი ფილო-ს ფიისა და ანტრო-პოლოლის მეცნიე-




რებაში. ამთ შეიტა-ნეს სარწმუნოების მცნებაში ახალი გზა ტ შეუთანხმეს მას ახალი მიმართულება ბუნების მეცნიერებისა. უწინ ქრისტეს მცნე-ბას პლატონის ფილო-სოფია ჰქონდა საფუ-ძელად დადებული. ამ ფილოსოფიის გა-საღად იყო უკედავი სული, ცხოვრება და საქმე, რომელთა ურ-თიერთ შორისი დამო-კიდებულების განხი-ლვა და გამოძიება შე-ადგენდა მთელს ქრის-ტიანულის ფილოსო-ფიის შინაარსს. მოლე

შოტისა და ფოხტის მცნებისამებრ ბუნებაში უკედანი არიან ორნი საგანნი: უკედანია მატერია და უკედანია მასთან თან-დაყოლილი ძალა, რომელიც ერთმანეთის ზედმოქმედებით წარმოშობენ ყოველის ტანისა და გვარის ცხოვრებას და არსებას—სულიერსა და უსულოს. ცხოვრება არის გამუდმებული ცეცხლი სიკვდილისა ზე სიცოცხლისა. ყოველი სიკვდილი მბადებს ახალს სიცოცხლეს ზე ყოველ სიცოცხლეს თან მოაქვს სიკვდილი, ესე იგი ცხოვრების გადაცემა. მატერია იცვლება ზე არ ისობა. მაშასადამე ბუნება და ქვეყნიერება არის ერთი განუწყვეტელი ბაწარი ცხოვრებისა, საცა ყოველი წარმოებულთ, შემდგარი, ან ვაჩენილი არსება იცვლება. მაშასადამე ყოველი კერძო ცხოვრება ცვალდება; მაგრამ მისი მწარმოებელი ძალა და მატერია კი უკედანი არიან. იგინი არც წნდება, არც მოისპობიან; იგინი ყოფილან, არიან და იქნებიან უკუნითი-უკუნისამდე. ამისთანა ხელმძღვანელი აზრით ანათეს მოღვწობა და მისმა აზნავეებმა ფოხტმა, ფეიერბახმა და ბიუხნერმა ახალი მეცნიერების ლაზარია ზე მითი გაუნათეს ევროპის გონებისთს განვითარებას ახალი გზა.

ეს ერთი თევა, რაც მოღვწობა გადაიცალა, მთელი განათლებული ქვეყნის მიერ ცნობილი და პატივცემული. ის მოკვდა სამოც და თერთმეტის წლისა; დაიბადა 1822 წელს ჰოლანდიის ერთს ქალაქში, აღიზარდა გერმანიაში. ჯერ ასწავლიდა ჰეიდელბერლის უნივერსიტეტში, შემდეგ მიიწვიეს შვეიცარიაში, საცა იგი ციურების უმაღლესს სასწავლებელში დანიშნეს ფიზიოლოგიის პროფესორად.

1861 წელს შვეიცარიიდან მიიპატიეს იტალიის სატახტო ქალაქში ტურინში პროფესორად.



მ ა ტ რ ა ნ ე

**ა**რსული ორი კვირა მეტად შესანიშნავი შეიქნა ჩვენს ქალაქის ცხოვრებაში. ქალაქის არჩევანებმა ბევრი ისეთი საკითხავები წამოაყენეს ცხოვრებისა, რომ არ ჩაუფიქრდეს კაცი, აი იქნება. ბევრი აურ-ზაური, ბევრი მითქმა მოთქმა, ბევრი უსამომენება და უსამართლო მსჯავრი დადგა ზოგიერთს საზოგადოების წევრთავანს, რომელთაც არ ინებეს ამ მოძრაობაში ფეხის ხმას აყულოდნენ. დღეს ყოველივე არეულობა, ამღერეული ენებანი და წლოვანების შეუფერებელი სიფიცხე, რომელიც გზუიადებული თავმოყვარეობით იყო გამოწყვეული, დამე და; ყოველ ნაირი ბრძოლა, ჭორი, შეტაკება

დანარჩენი დღენი თავისი ცხოვრებისა იგი აღარ განშორებია იტალიას. მან ეს ქვეყანა გაიხადა თავის სამშობლოდ და 1876 წელს ის დააჯილდოვეს აქ სენატორობის ხარისხით. 1879 წელს იგი მიიპატიეს რომის ქალაქში ფიზიოლოგიისავე პროფესორად. დიდი გულენა და პატივისცემა დაიმსახურა მან იტალიის ხალხის წინაშე. ნაკლები სიყვარული აღარც რომის პაპისა და იტალიის კაროლის ოჯახში ჰქონდა მოპოებული. მისი თხზულებები თითქმის ყოველს ევროპულს ენაზედ არის ვადათარგმნილი განსაკუთრებით შესანიშნავნი არის შექმენვის მისნი თხზულებანი „ფიზიოლოგია მსაზრდოებელ ნიე იერებებისა“; „მწენება, თუ როგორ წარმოებს ტანის კვება“; ეს თხზულება რუსულად არის ნათარგმნი ამ სათაურით: „ლუგმა პურის ისტორია“ (Исторія о кусочкѣ хлѣба). (თუ არ ეცდებით იგი ქართულადც იყო ნათარგმნი. ძალიან კარგი იქნება, რომ გამოქვეყნდეს აზნაგობაზე შეიძინოს ეს თარგმანი და კამოსცეს), „ცხოვრების ბრუნვა“, „ფიზიოლოგიური წერილები“, „ბუნებითი ცხოვრება ცხოველისა და კაცისა“ და მრავალი სხვა. განსაკუთრებული ღირსება მოღვწობის თხზულებათა ის არის, რომ იგი ყოველს საკანს ბეჯითად და ღრმად იკვლევს; ამასთანავე სწერს საეკირველის ადვილ-გასაგებ ენითა, ასე რომ თუკი ცოტადენი სწავლა მიუღია კაცს, მისი მეცნიერული წიგნებს გაგება არ გაუჭირდება. ამითი აიხსნება ღრმა პატივისცემა მოღვწობისადმი მთელის ევროპის ხალხისა, რომელიც აღზრდილა მის სამეცნიერო წიგნებზედ. უბრალო ხალხი მას აღიარებს ბუნების მეცნიერების მამად.

გ—ლი

დაცხრა. ქალაქის აღღვეებული გონებრივი ცხოვრება ისეე ჩაეარდა თავის კალაპოტში, როგორც ჩაეარდა მოზღვეებული მტკვარი, რომელმაც მიანგრ-მოანგრა თავის კიდებზედ გადმოდებული სახლები და მრავალი წინდაუბედავი ქალაქის მცხოვრები ცალიერზედ დასვა. ბევრი ემღეროდა იმ ღროს გაციელებულს მკვარს: როგორ გაბნდა ჩვენი შეწყუბნება, მაგრამ ბუნების სტიქიონს არაფრად მიანია არც კაცის გოდება, არც მისი ცრემლი. ის ყოველს მის უძღურს გოდებაზედ ასე ეუბნება: „მღინარე თუ არ მოგყვები, შენ მიყვები“.



ის, რაც მოიტანა ქალაქის არჩვენებმა, ბევრით მიემგზავნება იმ აღქმებულს სტიქიონს, რომელმაც

თვის გაგვიყვებულსა და განუკითხავს დენაში შთანთქა ქვიტიკრის სახლები მალაკონების, მოსწყეიტა ქალაქს თითქმის ნახევარი მადატოვის ქალაიკი, უღმობებელად მოეკყრა სახერხაიების მებატრონეებს და მრავალი ხეტის მებატრონედ დასვა ცარიელზე; ასე გასინჯეთ, ყველასგან პატიეცემულს ნ. დ. ზუბალაშვილსაც კი არ მოერიდა და მისი სამსართულიანი ქვიტიკრის ქარვასლა ჩიტის ბუდეგავით გადმოანგრია და შთანთქა აზვირთებულს მორეეში.



ამ ქამად წარსული ამბავი ეკუთვნის ისტორიას და მატინანეს მწერალთა. ისინიც გულდამშიედებით უნდა შეუდგენ საქმის განხილვას, ყოველ მოვლენას თავისი შესაფერი ყურადღება უნდა მიექციონ, ასწონონ და დასწონონ, შეადარონ ერთმანეთთან გულისთქმით წარმოთქმული მსჯელობა ცხოვრების მოვლენაზედ და საზრიანი მსჯავრი დასდენ ყოველსავე. ჩენიც, როგორც მატინანეს მწერალს, არ შეგვიძლიან მხარი აუქციოთ ასეთს მოვალეობას და შეძლებისამებრ ეცდებით სამართლიანი და მიუდგომელი განაჩენი დაფადვინით, რომ არც მწვადი დაიწეას, არც შამფურა.



როგორც გვიმაეი მტკავრი ყურს არ იბერტყდა ამდენის დაზარალებულის და მის მიერ გაუბედურებულების ტირილ ჭივილზედ, აგრეთვე ქალაიკ არაფერს შეეგუა ჩენიც პუბლიცისტების მუქარას, გულისწყრომას, ხხილებას და ბაქი-ბუქსა. იმან მაინც ახალის საქალაქო წესდებულებისამებრ მონიჭებული უფლება თავისთვის დაიცვა და აღარც ერთი თავისი ძველი დამსახურებული და პატივისცემის ღირსი მკეილარი არ განიკითხა. ქალაქის ამომჩიელები მოიქცენ თანახმად იმ კანონ-დებისა, რომელიც მთავრობამ მათ მიანიჭა. აქ არც პატივისცემა, არც დამსახურება, არც ნიჭი, არც გვატრამობა, არც უძველესი მკეილრობა არაფერს შუაში იყო. ქალაქის ახალწესდების ძალით მომეტებული უფლება არჩიენანებში უფრო ფულით შეძლებულს ეაქრობას ჩაუფარდა და იმათაც უფრო ისეთი ხმოსნები აარჩიეს, რომელთაც შესძლებოდათ მოამეად ქალაქის გამეკობაში ამ შეძლებულ წოდებათა სარგებლობისათვის ეზრუნათ. აღმათ კანონმდებლის განზრახვა უფრო ის იყო, რომ ქალაქებში შეძლებული ეაქრის წოდება წაეყენებინა წინ...

«მოძღვის ბრასია»

**მ**ამულს რად მართმევე, აე-ზნეო, აბა, რა მმართებს შენია? კაცნი იქნებით, თუ იტყვიო შენ და ევ შენნი ძენია, თქვენთვის რა დამიშვებავ, თქვენი რა წამიხდენია?

ერთი მტკაველი მიწა მაქვს, ლეთისაგან მი-ცემულია. თვალები გსქდება, ბორაკო, შურიტ გეცემა გულია: გინდა ხელიდან წამიხჯო და ამომართო სულია!

ოხრად დაგირჩეს, შენ უფრო ხრადბუნი გაქვს ბტყელი; შენია მთელი მიდამო მრავალი მთა და ეელია, კიდევ ეერ ძღები, გინდა, რომ საწყალს გამოამკრა ყელია!..

მე რომ კაცურიდ მოგვენდე, სიტყვა მითხარი მშურია; მიწა რომ მოვახენენენე, დაგათესინე პური, რალად მალატობ, წყეულიო, გულში რად გიძე შურია?!

მიწა, ნათხორად მოხნული, შენი რა საკუთენელია? ცდილობ: ეით ალი-მუსიას, მეც საქმე მიყო ძნელია: გადაიბირა ჩემობა, ყელზე მოამბა წნელია!

ჩემს ბაწა უსუსურებთან ცბიერობ ელაქტევი: გსურს ჩემი ლეკვი ანეელო მსგავსად, ეით შენი ციკები! მაგრამ, ლეთის მადლით, ამოად და მერები, ეერას მისწედები...

ხან მეფერები, ხან მერჩი, კისერს მტენ მრავალმობით; ეითომ და მეზრავ, თვალს მიბაჟ ფარისეული მხნეობით! არა, გიგრძენი, რა შენილიც ბრძანდები ქცევა შენებით!

ღვითი რიგინად გევიევი, როგორიცა ხარ კაცია; რა გსცანი შენნი საქმენი, გულზედ დამანდა ხაზია; ლეთის ხატად დაბადებული, ეშაკობ... მომდის ბრახია!

### თავი ჭამიეში

(ზღაპარი \*)

#### II



მ საკირველს დევსაიანის ფრინველს სახელად ეწოდებოდა სკული და მის ნაშენსკულიანებში. ისინი ბევრად უფრო ჭკვიანები იყვენ „თავიჭამიეზედ“. რაკი დაიხარდენ, შემდეგ აღვილ-სადგომიღ გამოიცეალეს და დეშევენ დევთსაიანის კალთებზე. სკულიანებმა დაიწყეს ნელ ნელა ამ კალთების დაჭრობა, გამართეს სახლ-კარობა, შეუღლენ მთის ფერადების საყენებლად აღებას, გაიმართეს ჩინებები ხისა და ქვითყირის სახლებისულ საუტხოვო ხუროთ-მოდღერების გეგმაზედ. ისეთი მშრომელი და გონება-განვითარებული ათობა წარმოსდგა სკულიანებისაგან, რომ უწყლო აღავს წყალს ადენდენ და უნაყოფოს ვერაან მიწებს სამოთხის ბაღად შექმნიდენ. ისინი „თავიჭამიეისავით“ არ მტრობდენ ერთმანეთს; საკირველი ერთობა და თანხმობა ჰქონდათ. ამიტომაც მალე მრავლდებოდენ, ღონიერი შთამოგებატ ენადგებოდათ და გარეშე მტერიც რაკი ხელდავდა მათ ერთობას, ვერას უხედავდა. სკულიანებმა შენიშნეს, რომ დევთსაიანის მთის კალთები მათ ღიღნანს ვერ გაკვებდა; ამის გამო იმათ დაიწყეს ნელ-ნელა ძირს ჩამოსვლა და ბოლოს დაეშვენ „თავიჭამიის“ შეენიერს ეაკე-გარგებზედ. იმათ გადაავლეს თვალი ამ შეენიერს ხეობებს და აღტაცებით წამოიძახეს: „აი, ქვეყანა, რომელიც ჩვენ უნდა გვეუთონოდესო... მაშინ ნახეთ, რას ეიზამთ: სულ რძესა და თაფლს ვადენთო“. აქაურს ხალხს სინდიდრე ჰქონია და ვერ მოუხმარებოიო, ენახოთ, ჩვენ რა სიუხუბე დავატრილოთო. იმათ იწყეს მკვიდრად დაშენება და შეუდგენ მუშაობას. მათი წინაპარი უტხო ფრინველი „სკული“ მთათსაიანის გამოქვაბულში, ის იყო, გადაიცეალა. მიტეალების ქვამ მან მიიხმო თავის შთამოგება, დალოცა და საკირველი გონიერი სიბრძნე დაუტოვა ანდერძათ: „იყავით გულწრფელი, ეითარცა კრავი, უმანკო ეითარცა მტრედი, გულთმისანი, ეითარცა გველი, ძლიერი, ეითარცა ლომი, შორს მსჭკრეტი, ეითარცა არწივი, გიჭრდნეს ერთობა, როგორც მგლის ხროვას, როცა მიდიოდენ საშოგრად და სადავლოთ, გეწყალებოდეთ თქვენიანი, ნუ დანიდობთ სხვისიანს. გქონდესთ მათმინება ეირისა. სხეების ჭირი მიგაჩნდეთ თქვენ ღზინად, სხეების შფოთი თქვენ

მეუღრობად, სხეების დამცრობა—თქვენ გადიდებად, სხეების დაკლება—თქვენ შეძენად და სხეების სიკვდილი თქვენ სიცოცხლედ. დღერთმა მოგცათ სამკვიდრო „თავიჭამიეის“ ქვეყანა. ადრე თუ გვიან ისინი ერთმანეთს მოინელბენ და მათ ნიადაგზედ თქვენ გადაჭამეთ თქვენი სახლ-კარი. აწ მე განგეშორებით საუტუნოთ. იყავით მშვიდობით, გწამდეთ უზილაგი ჩემი სული, რომელიც გვეყოლებად დარაჯით და მისი სამყოფელი აღარ მოიშლება მთათსაიანის გამოქვაბულში განდენენილს მთისსულის\* მაგირად. თქვენ ნურას ერჩით „თავიჭამიებს“; მაკათ თან დასდევთ თავისი ჭირი. თეთთან ისინი მოგძებნიან ერთმანეთის შურისა და მტრობის გამო თქვენვე ჩაგაბარებენ თავის ავლადიღებას და მოგედლობიან. დაე, იხუბონ ერთმანეთში; შეძენის მეტი არა წავიხედებათ რა ამითი. იყავით მშვიდობით, ჩეს ანდერძს ნუ უმტყუნებთ და დრო თავისას მოიტანს.

#### III

თავიჭამიებს ქალაქებიც ჰქონდათ, დაბებიც და სოფლებიცა. თავდაპირველად ძილისა და დროს გატარების მეტს არას ფიქრობდენ. მაგრამ დრო მალე გამოიცეალა. ეინც არ გაიარებოდა, ის ვერც არას იშოვნებდა და ამ გარემოებამ „თავიჭამიებში“ ძალიან არი-დარია. ისინი ხომ ჯაჟეს არ იყენებდნენ და მიშწილისაგან როცა უტო სავსეცეადით, მაშინ გააჭყრტეს თვლები: აქეთ ეცენ, იქით ეცენ, ყველას უწინდელი კეთილი ცხოვრება აგონდებოდა; მაგრამ რადგან მათ ცხოვრება გამოცელოდათ, უზრუნველად ევლარაინენ შოგობდა საყოფ ლუქმაპურს. რა უნდა ექნათ?.. ბოლოა „თავიჭამიებმა“ მოიყარეს თავი დედა ქალაქებში და შეუდგენ იმის ფიქრს, როგორ მოვიგოვთ ნატერის თვალიო. აქ ერთმა ჭკვიანმა მოხუცებულმა მოისაზრა, რომ ნატერის თვალი თუ არ თითო-ოროლა გროშების მოგარეგებთ და თანხის შედგენით, სხვა ღონისძიებით არ მოგვეკარებოა. ამ მოსაზრებას ყური მოჰქრა ერთმა ჩარგველებულმა „თავიჭამიამ“, რომელიც უფრო გულ-შემბატკირად ითვლებოდა; ჩამაჩრთა იმ მოხუცებულს მისი ჭკვიანი აზრი, წარსდგა წინ და შეჭყირა „თავიჭამიებს“:

— მე გიშოვნით იმ ნატერის თვალსო. მერე თქვენ მეტი საზრუნედი არა გექნებთ რა. მხარეთმძღვე წამოწვეთ და იქიფეთო. მამულები ერთი-ორად გაგიმრავლდებათ. სკოლები გაგმართებთ, შვილები გამოგვხდებთ; ისინი სწავლა-მეცნიერებაში განვითარდებიან, მოედენ და თქვენს

\*) იხ. „კვალ“-ს მე-24 №-რი.

ტბილის მოხუცებულენას ოპროს გვირგვინს დაადგმენ თავზედა. თქვენს ადვილ-მამულში გამოაჩენენ ოპროსა და ვერცხლის წყაროს. თქვენი ცხოვრება ისე აზვიადება, აბურთდება, ვითარცა ზღვის ტალღო, წუთის-სოფლის სიტკობების პატრონი მხოლოდ თქვენ იქნებით და სხვა აღარაფერია.

„თავიქამიები ვამაზიარებდენ, დაუღვათ აღდგომა და ერთ ხმად შესძახეს თავის გულ-შემატკეპრას: „ვარემც თქვენი დღეგრძელობა ინებოს ღმერთმაო“.

იმ ჩარგავლებულს „თავი-ქამიას“ სახეზე პირბაღდ ჰქონდა ჩამოფარებული; მხოლოდ მომხიბლავი თვლები და კოკაბი უღვაშები უნდა. ამიტომაც მას ესახენ „ულვაშ-კოკაბას“. იმან ეშმაკური ღიმილი დაიწინა კოკაბ უღვაშებზე და წარმოსთქვა: „ბატონებო, მე ვეტყობ, რომ თქვენ ძალიან შეგიძლიართ ცხოვრების საშუალება. ძალიანაც გული მტკიავ მე, თქვენს თანა-მემამულეს და გატკობის თანა-მოზიარეს. ღმერთმა ხომ იცის, ბევრი ვიფიქრე. ჰყოლოდნენ ვეტყებ უძილობით თქვენის გულისთვის, არც მისვას, არც მიჰამია, მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდი, როგორ მომეპოებინა თქვენი გამაბედნიერებელი ნატერის თვალთა.“

ამ ოპროს სიტყვებით ყველა „თავიქამიები“ გრძნობაზედ მოვიდნენ, ბევრი მათგანი კიდევ ტიროდა. ერთი მოხუცი ადამი, მივიდა უღვაშ-კოკაბასთან, მარჯვენა მხარზედ აკოცა და უთხრა: „შენ დედის ძეძუ ტბილი თაველადაც შევრგებიაო, ჩვენთვის მაგდენი ღვაწლი რომ არ დაგზარებიაო.“

— მაშ იცით ძმებო, როგორ უნდა მოვიპოოთ ნატერის თვალი?— წამოიძახა ღიმილით ლოყებგაღაქლებულმა უღვაშ-კოკაბამ.

ყველა „თავიქამიებმა“ ყურები აცქერტეს და მოჰყვენ პირის წლაკუნს, თითქოს ეს არის, ეშხადებთან კარგი ნოყიერი სადილის ქამასაო.

— აი, როგორ?— განაგრძო უღვაშ-კოკაბამ. თქვენ გაქვთ აუარება მამა-პაპეული ხრიკები. აბა, რა სარგებლობა გაქვთ იქიდან? წლითი-წლობამდი მათი შემოსავალი ფესსაცმელსაც ვერ გამოგიცვლით. აი, ამ თქვენს ხრიკებს ის ნატერის თვალი სულ ფულად გადაგიქცევთ და თვით ხრიკებიც ხომ თქვენ ხელთ იქნება. სად წაგივათ, ვინ მოგტაცებთ, აქვე არ დაგრჩებითო!

— დაგვრჩება, მა... რა?— ასე არა ქანა, ზურგზედ არ მოიკიდონ ჩვენი კლდეები და არ წვილონ?— შესძახეს გახარებულმა „თავიქამიებმა“ თავის მხსნელსა.

— მაშ ახლა ჩვენ უნდა ვიხრუნოთ მხოლოდ ის ნატერის თვალი ხელთ ვეგდოთ და აქ ამ ჩვენს

დღეა ქალაქში დავაბინაოთ. ამის გულისთვის საჭიროა თქვენი დახმარება.

— ყმად გავეხიხად და გვიშველე. ჩვენო მამაე, ჩვენო მხსნელო, ეგ ნატერის თვალი მოგიტანეო, შებღალდენ, თავიქამიები“ წინამძღვარსა.

ულვაშ-კოკაბამ მითხზოვა „თავიქამიებს“ მამა-პაპის ნაანდერძევი თითო-ოროლა გროში „ამითი თანხა უნდა გავეთდესო, რომ ნატერის თვალი ასეთს საქენზედ მოგვეჩვიოსო. რაკი მოუჩინდება, მანში ვევაბამთ, დავკეტთ ერთ ყუთში და ის არის. მევე დაუწრუბუნებ თუ არა, ყველა თქვენს მთა-გორებს და ხრიკებს ფულად გადაქმნისო და სულ თქვენ ჩაგბარდებათო.

— მივეთო, მივეთო ჩვენი მამ-პაპეული თითო-ოროლა გროში, რაც გადავკრწინია! შევადგინოთ თანხა, აღონდ კი ნატერის თვალი დავიჭიროთო — შემჭვირეს ერთხმად „თავიქამიებმა“.

ნატერის თვალი ზღვას იქით იყო დაბინავებული. უღვაშ-კოკაბა მამნივე გაქანა ზღვას გადაღმა ქვეყანაში, რომ თანხის ჩვენებით ნატერის თვალი წამოეტყუებინა.

## IV

მართლაც არ ვასულა მას აქეთ ერთი წელიწადი, რომ „თავიქამიების“ დედა ქალაქში მოაკოცეს ნატერის თვალი და ჩაჰკეტეს ისეთს რკინის ყუთში, რომ იმისი იქიდან ამოძრომა და გაქცევა შეუძლებელი იყო. დიდი ამბავი, დიდი ევაშა-ვაშას“ ძახილი, დიდი ღმინი და ერთმანეთის ხევენაკონა შეიქნა თავიქამიებში: „აწ რაღა გვიჭირს, ნატერის თვალი მოგიტანეთ ზღვას იქითიდან! ამიერიდან ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყავს, ქვეყანაზე ერთ ვეღარ გვაჯობებს ვერც სიმდიდრით, ვერც განათლებით, ვერც სიუხვით: წამოწექ ყოველი „თავიქამია“ შენს წალკოტში და უყურე ამიერიდან ორაგულენი როგორ იტყუებმალდენ შენს დიდებულს აღზენში, ან ირბისა და შელის გოგები როგორ ვაშენდებთან შენ მიერ სანადიროდ შემოაკავებულს ტყვეშიო“. ასეთს ოცნებებს და მხიარულენას თავიქამიებისას სასულვარი აღარ ჰქონდა.

ულვაშ-კოკაბამ კვლავ ჩაიციწა თავის ღამაზე უღვაშებში და წინ დახედულობის ნიშნად ტუჩები აცმაცუნა, თითქოს გულში ამობოდა: ბიჭმა იცის საქმის მოუხარაკობა.

როდესაც „თავიქამიები“ მეტრი-მეტრს აღტაცებისაგან მოიღვინდენ და სიხუმე ისეე ჩამოეარდა, უღვაშ-კოკაბამ შემოეყარა ღლიჯები. ოჰ, საკვირველებად!

„თავიქამიებს“ მოიწვევს, რომ ის ერთი მტკაველი გაზღი-  
ლიყო იმათ თვალში. ერთმა „თავიქამიამ“ იქვე  
ხუმრობით დატანა: „ბიჭოს, თუ ასე თითო მტკავე-  
ლი იხარდა ჩენი ულვაშ კოკობა, თქვენი მტერი!..  
ცამდენ აუწუნდეს თავსაო!...“

— ბატონებო! — დიწყო რიხიანად ულვაშ კო-  
კობამ.

ამ შეძახილზედ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კო-  
ლოს წუწუნსაც გაიგონებდა კაცი. ყველამ აცქვიტა ყუ-  
რები, არ უნდოდათ ერთი სიტყვაც გამოჰპაროდათ მის  
გან წარმოთქმული.

— თქვენ ახლა მიაღწიეთ უმაღლესს წერტილს  
ბედნიერებისას. ნატერის-თვალის შინა გაქვით, აწ  
რალა გიჭირთ—შესძახა თავ-მოწონებით ულვაშ კო-  
კობამ.

— გაუშარჯოს ჩენს გამგენდიერებელს, ჩენს  
დანახლებელს, ჩენს მამას, ჩენს ღმერთს, ჩენის  
სამშობლოს დიდებს და სახელსა.—ერთ ხმით იგრაი-  
ლეს „თავიქამიებმა.“

— ეგ ხომ ევრეა, მაგრამ ნატერის თვალს მოე-  
ლა, პატრონობა უნდა, თორემ როგორც მოვიდა,  
ისევე გავიქრება—შესძახა კიდევ ულვაშ-კოკობამ.

— ჩენოა ღმერთო, მაგის მოელას და პატრო-  
ნობას ხელიდან ვინ გამოგაცილებს—შეჰყვირეს „თავი-  
ქამიებმა.“

— მე მარტო სად შემიძლია ამის ყურის გდე-  
ბა. მე მარტო დაწორებუბნასაც ვერ აუვალ. რამდენ-  
ნია „თავიქამია, რომ ფული სჭირდება. რამდენსაც  
ფული დაქირდება, იმდენჯერ ხომ უნდა დაეწორუ-  
ბუნო. დიღობანს საღამომდის მარტო წრუბუნს ვერ  
აუა ერთი კაცი.

„თავიქამიები“ ჩაფიქრდნენ. რომელთაც იმათში  
უფრო დიდი მადა ჰქონდათ გაღვიძებული, ისინიმბე-  
დნენ, რომ აქ კარგი საშოვარი იქნებოდა და ხელიდან  
არ უნდა გაეუშვათო. ხუმრობაა, ნატერის თვალთან  
ახლოს ყოფნა!.. მისი მცობებით ფული ზღვასავით  
უნდა მოვიდეს და ვინც ამდენ ფულში ნიადავ ხელს  
აუტრეს, იმას რა უნდა გაუჭირდეს? რომ არ გინდო-  
დეს, მაინც ძალად მიეცრებიან კირმანეთლები ხელებს,  
თითებს და ჯიბეებსო.

— მე მოგვხმარებითო წამოიძახა ერთმა „თავი-  
ქამიამ.“ მეც მოგვხმარებითო წამოიძახა მეორემ,  
მეცაო—განიმეორა მესამემ. მეც, მეც... მეც!..—მოი-  
სხვა ყოველ მხრით. შეიქნა ერთი ისეთი ხმაურობა  
და აურზაური, რომ დედა შეიღოს ევლარ სენობდა  
და მტერი-მოყვარეს. ვინც კი დიძახა „მეცაო“,  
ყველანი გარს შემოეხებინ ულვაშ-კოკობას და ეუბ-  
ნებოდნენ, განა იქნება რამე გამოსარჩენიო?

ულვაშ-კოკობამაც თვალები აათამაშა და  
უთხრა: თუ გინდათ, რომ საქმე კარგათ წავიდეს,  
ჩემი ყურმოპირილი ყხები უნდა გახდეთო. რაც მე  
გიბძანათო, ყოველივე უნდა დასრულოთო, თუ არა  
და ახლავ თქვით და თქვენს მაგიერ სხვებს ავირჩევო.

— უწინამც ჩენი სიკვდილი გინახავს, სანამ  
შენს ბრძანებას დაეარღვევდეთო — მოასწინეს  
ულვაშ-კოკობას.

რაცა სიჩუმე ჩამოვარდა, ულვაშ-კოკობამ  
კვლავ განაგრძო თავის მჭევრმეტყველება: ბატონე-  
ბო, ეგ ყველაფერი კარგი. ეს ამდენი პატივცემული  
„თავიქამია“ ჩემ შემწუნდ დაგინიშნათო; მაგრამ გასა-  
მრჯელოს რაღას აძლევთო.

— თქვენი არ არის ყველაფერი! ნატერის თვა-  
ლი თქვენ ხელთ იქნება, რაც გნებავთ ის მიეცით,  
ოღონ ჩვენ კი ჩენი ურგები ხრიოკები და მთა-  
ბარები ოქროდ გვექცეს, თქვენც ჰქმეთ და ჩვენც  
გაკავშიროს — შეჰყვირეს „თავიქამიებმა.“

— არა, ეგ ხომ უსამართლობა იქნება ჩემი  
მხრით. მე თქვენთვის თავ-განწირული მოცმე ვარ.  
თუნდ მე სულ ნურაფერს მიბოძებთ, ოღონდ ამ სა-  
წყურებს მიეცით, რომელთაც თქვენი გულისთვის  
ამდენი ჯაფა უნდა იტვირთონ და ძალიანაც შაათ.

— ნახევარი ინებეთ იმ ფულსა, რასაც ნატე-  
რის თვალი მოგვიტანს—შესძახეს „თავიქამიებმა.“

— როგორ შეიძლება! ეგ მეტის-მეტია. თქვენ  
რომ გადასწყვიტოთ, მე არ ვიხმამ. განა ჩემ  
თავ-განწირულებას ეგ ეკადრება, რომ იმის ნა-  
ხევარი სულ მე წავიღო, რაც ყველა „თავიქამიებს“  
ერგება! არა. როგორ შეიძლება, თავ-მოწონებით  
ქწინააღმდეგა ულვაშ-კოკობა.

— მას შესამედი მიირთვიეთ—შეჰყვირეს „თავი-  
ქამიებმა.“

— არც ეგ შეიძლება.

— მას მეხუთედი მიირთვიეთ.

— ე-მ-ც ბევრია.

ასეთს სულ-გრძელობას არ მოელოდნენ მისგან  
და მის გულუკეთობობას ევლარ გაუღმეს „თავი-  
ქამიებმა“, ზოგი მათგანი ხელებს იწვდიდა ზეცისკენ  
და ღმერთს ევედრებოდა: „არ ეღირსვართ, უფალო,  
შენს მოწყალებას, რომ ასეთი სულ-გრძელი და გულ-  
შემბატკივარი მამულის შეილი გამოგეჩინო. ზოგი  
ამბობდა: ოჰ, რა თავ-განწირული, რა ქველ-მოამქმედი  
კაციაო!.. ზოგი მეტის-მეტე გულ-ჩელობობით სტი-  
როდა და კალთას უტოცნიდა; ზოგი კი აღტაცებით  
უძახოდა: „შენი წადის ქუსლის ქირიმე, მე შენი  
ქოსმანი ვარ, შენი ქოსმანია.“

ბოლოს, როცა ყველანი დაშობნანდენ მერე ერთ ხმად შესძახეს: „ჩვენო მხსნელო და გამოამჩინებელო, შენ თვითონ გადაწყვიტე: რაც გინდა, ის აიღე“.

— მაშ მე ვადამიწყვეტა: ათისთავი გვეყოფა ჩვენ გასამრჯელოდ და ამ ათისთავიდან ნახევარი მე და ნახევარი ამ ჩემ თანაშემწე „თავიქამიებსო“.

— ევ კლდე ცოტაა. მტერი აიღეთ, მტერო — იგრიანეს ერთ-ხმად „თავიქამიებსა“.

— არაო — შესძახა მხიარულმით ულვაშ-კოკობამ. მე არც ვაუშაძლარი ვარ, არც თქვენი ზარალი მინდაო. მე კანონს ვერ გადავცდები. მე ყოველ საქმეში ზომიერების მაჩვენებელი უნდა ვიყო თქვენთვისო.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეთო — შესძახეს „თავიქამიებსა“ და წაიღენ თათათიანთ სახლში მხიარულად. ამას შემდეგ ყოველი მათგანი საქმეს შეუდგა.

„თავიქამიები“ რომ წაიღენ, გამარჯვებული ულვაშ-კოკობა მხიარულად მიუბრუნდა თავის თანაშემწეებს და უთხრა: „მომილოცავს თქვენი გაბედნიერებოა. დღეის იქით თქვენ ჰხდებით ნატერის თვალის ქმანო და თავსა გდით მისი მოწყალებოა. მხოლოდ ამას ვთხოვთ, ფხიზლად იყავით, არავინ შეგეტყოსთ ნატერის თვალის მოწყალება და ჯიბეების დასქელება, თორემ მე მაგ არამზადა „თავიქამიების“ ხასიათი კარგად ვიცი, მაშინვე მოინდომებენ ჩვენ მაგიერობასო, პანლუსს ამოგვეყრენ, აქედან გადაგვერყვენ და თვითონ ვახდებიან ნატერის თვალით მოსარგებლენოა. თქვენ ეცადეთ, ყველა მკვატრანლები როგორმე ხელში დაიჭიროთ და მომავალში კონიტი არ დააძერციენოთ ჩვენზედაო“.

— მარისი მაქნისი ვიქნებით, თუ ეგვც ვერ შევიძლიეთო — უთხრეს თანაშემწეებსა და შეუდგენ საქმეს.

გორისელი

(შემდეგი იქნება.)

## II

სიმაართლის დროშის ასამაღლებლად ისევ ამ ქვეყნად მიმოვიღიოდ და იმედებით გულ-აფხებულო, თვით ზეციური ცეცხლით ველიოდ; და რა ქვეყნისთვის საკეთილ-დღეოდ ზრუნვის და შრომის გზას დავადექი, მიაზრე ჰაუტო შეერთებულ გუნდს ერთ ალავს უცებ თავს წაიადექი.

ცხოვრების ზღვაში გულ-მხნედ მიბრძოლნი ჰქონს და განსაცდელს წინ ეყრებოდენ და თავ-განწირულ მღუმარე ომში წელში ოდნეოდ არ იხრებოდენ. დროშა ეჭირათ იმით მხნე ხელში სიმაართლით ბნელის გასანათლებლად და ცხოვრების ზღვის მშუსრავ ტალღებში წინ მიდიოდენ შეუფერხებლად.

და რა დაერწმუნენ, რომ მწარ ბრძოლაში ჯერ არ მოხრილა აქ არვის ქელი, გონების ფრთებით ზეცაში მფრინავს გამათასდა გულში იმედო; მყის მომავლანდა სერზედ ნორჩი ხე, ქარიშხლისაგან ძალ-ამხილდი და გაეფიქრე მონურ ცხოვრებას სწორედ ამ ომსა სჯობს-თქო სიკვილილი.

## III

განელო დიდმა დრომ. ჩემს გულს მან ბევრი იმედი ნელ-ნელ გამოაყალა

\* \* \*

(ჩემს მგობარს ე. ე.)

## I

**გ**ოელისეე ცნობის სულით მწყურვალნი ცხოვრების საგანს ქვეყნად ვეძებდი და ამ ქვეყნიურ გამარჯვებაზედ მე ჩემს გულსავე ვაიმედებდი; შეესტრფოდი ფერალთ ოცნების გუნდებს, განმარტოებთ გორაკზედ მჯდარი და ჩემს ვარშემო თავ-ზარ-დამცემი ჭკუხდა, ხეიოდა მძინეარედ ქარი.

ახლოს ვიხილე იქვე ქორფა ხე, მიწიდან ახლად ამონატენი, ჯერ უტოტებო, ნორჩი და მწვანე, სიცოცხლით საესე და მოსახენი; მაგრამ რა ქარი დაიხუტოვებდა, იგი მყის მიწას ენარცებოდა და მე მის მონურ მორჩილებასზედ ზიზლით და ჯაერთი სული მხდებოდა. ყმურად ქედის ხრის ჯერედ უჩვეველს მწარ-სიბრაღულით ამყესო გული და ზედ წააწეა გამწყრალი გონებას რალად ნაღველი და სინანული; ზიზლით შეტებედ ხეს, ჰირში შემხდალს, და მყის დაეტოვე მე ის ადგილი, გულში ვიფიქრე: მონურ ცხოვრებას ათიათასჯერ სჯობს-თქო სიკვილილი.

და სიკვამლე დაამტოვა ბოლოს, რა კი აიღო მან თვისი ძალა. სულის სიკაცხლე და სიყვარულე ჩემს სიყმაწვილეს თან უაზრ გამოედა და რაც კი რამე გონმა იახრა, ის ყოველივე ნაღველმა დასწვა.

და უზო-უყვლოდ მოხეტიალე სურვილს გულისას ერთს წაშს მივინებდი და იქ მივედი, სადაც ნორჩის ხნს ზრდას მე ოდესმე თვალს ვადევნებდი და ენახე: არე გულ-მოსახლხნად გაბადრულიყო, როგორც სამოთხე, იდგა შუაზე უზარ-მასარი ტოტებ-გაშლილი იქ საპაოდ ხე.

გრიგალი ჰქუხდა და ეწლებოდა, ხეს კი ფოთილოც არა სცივოდა, იდგა უძრავად და თითქოს ქარის უღაროობას ზედ დასცივოდა და სულის ძალა კელავ განმცხობელად, გულს მოეწონა ბუნების შეილი და ესთქვი: ვინც ბრძოლა კი გაიტანა, რაა შემდგეში მისთვის სიკედლი!

#### IV

განელო დიდმა დრომ. თუმც კი მრავალჯერ ტანჯვის ისარი გულს შემეხალა, მაგრამ სრულიად ვერ მოსპო ჩემში ძველი იმედი და სულის ძალა. მრავალ-ფეროდან სურათთა ვუნდი ჩემს ფიქრებს კვლავ წინ ეწვებოდა და ტკბილ მომავლის იმედის სხვი ჩემს გულში კიდევ ჯერ არ ჰქრებოდა.

და რა ოცნებამ ტკბილის აღერისთ შემომავინა გულს ნეტარება, გაესწიე იქით, სადაც იბრძოდენ მაღალ აზროვან ქუბუთა კრება. და ენახე ყველა წელში გახრილი, მყუდრო ალაგას მიმალულები, დღეს სხვა-რიგ სჯიდა მათი გონება და სხვასა გრძნობდენ მათი გულები. და რა ეიხილე მათი სისუსტე, ჭირში გატება და ყმობა ბრძული, მწუხარე გულში ამეძრა მათზედ მე ერთად ზიზღი და სიბრაღული. და იმათ ბინას გამოეყვეს, თვალ-წინ გაუქერ ვე მათ, ერთ ჩირდილი, და გაეფიქრე: ამ გვარ ცხოვრებას ათი-ათასჯერ სჯობს-თქო სიკედლი.

სახელი

ვაჩუკე შაბური და მეუღლე მისი დულარდუხტი


(1471 წ. ქრ. შემდეგ.)



ამეც შაბური იყო უკანასკნელი შთამომება მოსკოვიანთ: გვარისა, რომლის წინაპრად მითვლება მირიან მეფე ქრისტეს სარწმუნოებით განმანათლებელი საქართველოს ერისა მეოთხე საუკუნეში. იგი, როგორც ვითო, ჩამომავლობდა სპარსეთის მეფის საზარის გვარიდან და იწოდებოდა სსანადით. თუ რომ პლატონ იოსელიანის გამოკვლევას დაუფიქრეთ, ამ უძველესის მეფის გვარის შთამომებას მოუტანებთ საქართველოში მეთუთხმეტე საუკუნემდის (1474 წ.) არაგვის საერისთოს გამგეთ. უკანასკნელი წარმომადგენელი ამა გვარისა, როგორც ეტყობა, ყოფილა ვაჩუკე შაბური, ერისთავი არაგვისა, რომელსაც სრულიად საქართველოს მეფის აღექვანდრე-პირველის შერისხვის გამო დაუქარავებს არაგვის ერისთავობა. არის სინოდის კანტორიდან წამოღებული ერთი სიგელი, დიმ. ბაქრაძის მიერ განხილული, სადაც ვაჩუკე შაბური იხსენება არაგვის ერისთავად „შოლოდ ოდენ სახელითა“, ესე იგი მას შერჩენია სახელწოდება არაგვის ერისთავობა, თუმცა თვით საერისთო კი აღარ ჰქონია. იმეც სიგელში იპოება სახელი ვაჩუკე შაბურის მეუღლისა დულარდუხტი, ანუ დურუნდუხტი.

საშაბუროდ დღეს იწოდებიან ადგილები დღეშეთიდან სამი ვერსის მოშორებით; იქვე არის სოფელი ბოლორნა, რომელიც დაჰყურებს არაგვის პირს, დღეშეთიდან რვა ვერსტზედ. აქ ერთ მაღალ მთაზედ არის ღეთის-შშობლის ეკლესია ვაჩუკე შაბურის წინაპრებისაგან აგებული და შიგნით მოხატული. აქვე არის პატარა ეკეტერი, ანუ სასაფლაო სადგური, რომელიც განუხლებობა ვაჩუკე შაბურს და მის მეუღლეს დურუნდუხტს. ცოლი და ქმარი მუხლ-მოყრილი არიან ეყედერის კედელზედ დახატულნი. ვაჩუკე ტანთაცკია თათრული გველი კაბა და ხელში უჭირავს შეწირითარის სიგელი, რომელიც მას მიუცია მარკოზ კათალიკოზისათვის. იგი სწირავს, ბოლორნის ღეთის-შშობლის ეკლესიას თავის საკუთარსოფელს ხანდაც. მის პირდაპირ მულ-მოყრილი და ხელგებ-გაპყრობილი თათრულსავე ტანისამოსში დახატულია მისივე მეუღლე დურუნდუხტი „წუთის სოფლის დაუდგრომელობისა და დიდი უბედურების გამო ჩაეარდნილ მრავალთა ნაირს ცოდვებში უარ-ყვებით ამა სოფლის სიტკობება საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად და განეახლებით ეს ეკეტერი, ანუ სასაფლაო სადგური ჩვენითა“. ორივე ცოლ-ქმარი შემდგარან





ვაჟეც შაბური



მეუღლე მისი დულარდუბტი

ბერ-ჰონონად და ქალს მონაზონობაში მიუღია სახელი დომნა. რადგან კოლქვარნი არიან თათრულ ტანისამოსით მართლთნი, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ჯერ გამაჰმადიანებულან და შემდეგ შეუნანებიათ და ისევ ქრისტიანულს ბერ-მონაზონის მოღვაწეობით აღუბოცნიათ თავისი უსჯულოება. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, თუ არ მართლ-მადიდებლის საქართველოს წარჩინებულის მეფის ალექსანდრეს წინააღმდეგობა და ორგულობა, რომლის გულისთვისაც იგი, უეჭველად, განდევნიდა მათ თავის საერისთვოდან. მეფე ალექსანდრე პირველი ცხოვრებდა 1412—1445 წლამდე. მან აღადგინა თემურლენგის მიერ დანგრეული და დატყვეული საქართველო. მან განაახლა ეკლესიები მცხეთისა, რუისისა და ქვაბთხევისა, შეაგროვა უცხო ქვეყნებში გადახიზნული, ვადაკარგული ქართველობა და ისევ სული ჩაუდგა მტრისგან დატყვეულს საქართველოს. მან შემოიღო ხარჯი სახელად „მალი“, რადგან მეფეთა სალარო გაცარცეული და დაკალიფრებული იყო და იგი საჭიროებდა საშუალებას ეკლესიების აღდგენისათვის და ქრისტეს საჩუქრულების განმტკიცებისათვის. როცა ესეები შეასრულა, მერე ეს ხარჯი ისევ გა-

დაკეთა. ამის გამო მეფე ალექსანდრე—პირველს სახელად ეწოდა დიდი საქართველოს მეფე ალექსანდრე.

XX-ლი

თ ა მ ა ს - ხ ა ნ ი

(ხალხური ლექსი, ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ)

**ა**მაზ ხანი გადმოვიდა,  
თან გადმოჰყვა დიდი ჯარი,  
უწინ ბაღდადი აიღო,  
განჯას შემოარტყა ჯარი.  
განჯელუმზე კარი მიხურეს,  
არ შეუშვეს ნიაჯ-ქარი.  
თითო გამომცხვარი პური  
თითო მინანთული არი.  
შევა რომ ევლარ იზოვეს,  
ფარიით ხარშეს ბრინჯის ფლავი.  
მოტყუებით წამოვიდა,  
სულ აიკლო მთა და ბარი.  
ღმერთო, შენ მივე თამაზ-ხანს  
ღეთის რისხვა და ზეცის ალი.  
კმაწილის კალა გაღვწა,  
ღედა-მიწის იძვრის ალი...

### სამეურნეო საცდელი სადგურები

(დასასრული \*)



უ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო პროგრესისათვის მაგალითის, ჩვენებას, ცდას ამის დასამტკიცებლად მოვიყენებ შემდეგ ფაქტებს.

ფლანდრიას, ახლანდელს ჰოლანდიის ნაწილს, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში მოჰყავდა იონჯა ბალახი და საკვები თალგამი. ინგლისის ლორდმა ნორფოლკმა, რომელიც იმ დროს ფლანდრიას, გვიარა ფლანდრიისზედ და მიაქცია ყუარალბემა საკვებ თალგამის ყანებს. დაბრუნდა თუ არა შინ, მან თავის მამულში დათესა თალგამი. მას მალე მიბაძეს მეზობლებმა და მკირე ხნის განმავლობაში საკვები თალგამის თესვა გახდა ნორფოლკის მეურნეობის უმთავრეს საგნათ.

სხვა-და-სხვა გამოკვლევანი და დაკვირვებანი გვიჩვენებენ, რომ ბალახის მოყვანა გლეხობაში შემოდის უფრო მზამებით და მაგალითის ჩვენებით. შინიშნულია, რომ თუ ერთ სოფელში ვინმე დასთესა ბალახი და კარგად მოვიდა, მაშინ გარშემომდებარე სოფლებიც იწყებენ ბალახის თესვას და ამასთანავე გადააქვს ყველა წესები ბალახის მოყვანისა.\*\*)

მოვიყენებ ჩვენ ცხოვრებიდანაც ერთ მაგალითს. პირველ ხანებში როდესაც საფალოქსერა დასეგმა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში იწყეს ევენახის წამლობა, მკვიდრთა უმეტესობა ექვის თვალით უტკეროდა ამ წამლობას. ზოგან პატრონი არც კი უშვებდენ ევენახში ფილოქსერას მკურნალებს. მაგრამ დანახვის თუ არა კარგი ნაყოფი ერთგან, ორგან და დარწმუნდენ წამლობა კარგი ყოფილაო, მაშინ არამც თუ სხვას აძლევდენ წამლობის ნებას, არამედ თვით შეიძინეს საქონლი იარაღები და იწყეს ევენახის წამლობა, ასე რომ იგი ახლა არაღის არ ეუტხოვება. აგეთია ძალა მაგალითისა, ცდისა!

აი, სწორედ ამ პრინციპზედ—მაგალითზედ, ცდაზედ, ჩვენებაზედ არის დამყარებული ის დაწესებულებანი, რომელთაც სახელად ეწოდება სამეურნეო საცდელი სადგურები. ევროპაში დიდი ხანია არსებობენ ამ გვარი დაწესებულებანი. პირველი სამეურნეო სადგური დააარსა გერმანიაში საქსონიის

